ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №85

2011 წლის 18 ივლისი
ქ. ქობულეთი

დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლაზე სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №-194 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2^1 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლას – გიორგი შაინიძის სახელის მინიჭებაზე.

2. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 ოქტომბრის №104 განკარგულება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**